

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №446

2012 წლის 9 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულსაკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 480180000.10.003.016169) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №3 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №3

საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ საკარანტინო კონტროლი

საზღვაო პორტები, აეროპორტები, რკ/გ სადგურები, სახმელეთო გადასასვლელები	საბაჟო გამშვები პუნქტი
საზღვაო ტრანსპორტზე	
„ფოთისა და ყულევის პორტები“	„ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ბათუმის პორტი“	„ბათუმის პორტი“
საჰაერო ტრანსპორტზე	
„თბილისის აეროპორტი“	„თბილისის აეროპორტი“
„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები“	„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ბათუმის აეროპორტი“	„ბათუმის აეროპორტი“
სარკინიზგო ტრანსპორტზე	
„გარდაბანი“	„გარდაბანი და მტკვარი“
„სადახლო რკინიგზა“	„სადახლო“



სავტომობილო ტრანსპორტზე	
„წითელი ხიდი“	„წითელი ხიდი“
„გეგუთი“	„გეგუთი“
„სადახლო“	„სადახლო“
„ლაგოდეხი“	„ლაგოდეხი“
„ვალე“	„ვალე“
„ნინოწმინდა“	„ნინოწმინდა“
„ყაზბეგი“	„ყაზბეგი“
„სარფი“	„სარფი“ .“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 7 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი

